

რენტგენო-რადიოლოგიური სამედიცინო მომსახურების ხარისხის
პრობლემები საქართველოში

ირაკლი თორთლაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის
სკოლაში ჯანდაცვის მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზვერულავა, მედიცინის აკადემიური დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ირაკლი თორთლაძე

2015 წელი

აბსტრაქტი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიზანია მსოფლიო მოსახლეობის ჯანმრთელობის მაღალი დონის მიღწევა. აღნიშნულის განხორციელებას ემსახურება ჯანმო მიერ შემუშავებული სტრატეგია „ჯანმრთელობა ყველასათვის 21-ე საუკუნეში“, რომელიც მიღებულ იქნა 1998 წელს. მსოფლიოში მოსახლეობის ხანგრძლივი და ჯანმრთელი სიცოცხლისათვის სათანადო პირობებით უზრუნველყოფა განსაკუთრებულ ფასეულობებს წარმოადგენს. მოსახლეობას ესაჭიროება ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვა. ხარისხი ეს არის ეფექტური, პაციენტზე ორიენტირებული, დროული, ეფექტიანი, უსაფრთხო, ობიექტური სამედიცინო მომსახურება.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანია სამედიცინო მომსახურების ხარისხი რენტგენო-რადიოლოგიური მომსახურების დროს. კვლევაში განხილულია ამ კუთხით საქართველოში არსებული სამედიცინო დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა. კვლევის თეორიული საფუძველია: რენტგენოლოგიური მომსახურების შესახებ არსებული ლიტერატურის მონაცემები, საკანონმდებლო საფუძველები; კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა-ფოკუს ჯგუფებში (ექიმები, სამედიცინო დაწესებულების მენეჯერები, პაციენტები) გამოკითხვა სპეციალური, მიზნობრივი კითხვარებით. კვლევაზე მუშაობის დროს მიზანშეწონილად ჩაითვალა კვლევაში ჩართულიყო გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტები და თვისებრივი კვლევის ფარგლებში მათთან განხორციელდა ჩაღრმავებითი ინტერვიუ.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა სამედიცინო რენტგენო-რადიოლოგიური დიაგნოსტიკური პროცედურებისა და მკურნალობის დროს რადიაციული დაცვის უზრუნველყოფის ნორმების და სამედიცინო დაწესებულებებში ამ მოთხოვნის შესაბამისად არსებულ მდგომარეობათა რადიკალური განსხვავება. საქართველოს

მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას ისევე, როგორც სამედიცინო დაწესებულებათა ხარისხის მართვის სამსახურს და ექიმ რადიოლოგებს, სათანადო ინფორმაცია არ აქვთ რენტგენოლოგიური მომსახურების უსაფრთხოების შესახებ. კლინიკათა უმრავლესობა სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებს რენტგენოლოგიური მომსახურების უსაფრთხოების მნიშვნელობას, შესაბამისად, შესაძლო გართულებებს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ დღესდღეობით სამედიცინოდ აწესებულებებში არ კონტროლდება რენტგენოლოგიური მომსახურების უსაფრთხოების პარამეტრები, არ ხდება იმ გარემოს მონიტორინგი და რეალურად არსებული პრობლემების შესწავლა სადაც მომსახურების მიღება ხდება. ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემუშავდა სათანადო რეკომენდაციები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სამედიცინო მომსახურების ხარისხი, რენტგენოლოგიური მომსახურება, დასხივება, უსაფრთხოება, რეგულირება

Abstract

The aim of the World of Health Organisation is to reach the high level of health care. The fulfillment of the strategy which is developed by the WHO is "Health for everybody in the 21st century," which was adopted in 1998. Providing the world population with prolonged, appropriate and healthy life conditions has great importance for the modern world. The qualitative available health care is essential for the population. Quality this is an effective, an orientable on the patients, timely, efficient safe and reliable medical services.

The subject of the master work is the quality of Medical Service during the rontgenology and radiology. The study shows the current state in Georgian Medical institutions. The research is theoretically based on the facts which is about the data of rontgenology, legislative bases, There was held research Quantitave and qualitative conducted with focus groups (doctors, medical facility managers, patients) questionnaires were specific. The research study is

considered to be involved in nuclear and radioactive specialists from the ministry of the environment and natural resources, after this they gave deep and an extensive interview.

The study has revealed medical radiology diagnostic procedures and treatment of radiation protection standards and in compliance with the conditions of this radical difference in medical institutions. The vast majority of the population, as well as the quality of management of medical facilities and radiologists do not have a proper information about X-ray security services. Most of the clinics do not pay attention about the significance of the radiological safety as well as possible complications. It should be stressed the fact that radiology service security setting is not controlled in Medical institutions, there is no monitoring of the environment and the problems of the service actually happens. Many significant recommendations are taken based on this research.

მადლობა

სამაგისტრო თემაზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი“ ხელმძღვანელს, ჯანდაცვისა და დაზღვევის სკოლის დირექტორს, პროფესორ თენგიზ ვერულავას.

მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის პროგრამის დოქტორანტს მაგდა ასათიანს, კვლევის დიზაინის შემუშავებისა და სტატისტიკურ ანალიზში დახმარებისთვის.

მადლობას ვუხდით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს, ქალბატონ ზია სიჭინავას. ჩვენმა წარმატებულმა თანამშრომლობამ განაპირობა ჩემი, როგორც მაგისტრანტის დაინტერესება რენტგენო-რადიოლოგიური სამედიცინო მომსახურების უსაფრთხოების საკითხებით და ამ მიმართულებით საქართველოში სამედიცინო დაწესებულებებში კვლევის ჩატარება.

როგორც პროფესიული, ასევე მორალური თვალსაზრისით გვერდში დგომისათვის, კვლევის დროს განხორციელებული კონსულტაციებისა და დახმარებისათვის მადლობას ვუხდით აკად.ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის განყოფილების მთავარ სპეციალისტს, მედიცინის დოქტორს გრიგოლ ნემსაძეს.

სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევასა და მის შემდგომ დამუშავებაში გაწეული დახმარებისათვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორს ქალბატონ ნატა ყაზახაშვილს.

ასევე მადლობას ვუხდით კომისიის წევრებს, პედაგოგებსა და ყველა იმ რესპოდენტს, რომლებიც გვეხმარებოდნენ სამუშაოს შესრულებაში.